დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109251776**

თარიღი:**26/06/2025**

ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის საბიუჯეტო სახსრების ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებთან გაერთიანების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი"-ს მიერ (ს/კ 425358739) დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების მომზადებისა და რაგბის ტურნირებში მონაწილეობისათვის ფინანსური სახსრების გამოყოფის მიზნით, ბოლნისის მუნიციპალიტეტთან 2025 წლის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი